ხელშეკრულება #97

ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი: 21 მაისი 2015 წელი

ერთი მხრივ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში "მყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილი სახით და მეორე მხრივ შპს "ჯეოსელი", წარმოდგენილი მისი კორპორაციული და საბითუმო გაყიდვების მენეჯერის მალხაზ ჟორჟაშვილის სახით (შემდგომში "გამყიდველი"), ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს 15 [თხუთმეტი] ერთეულ Geocell Connect USB მოდემს (შემდგომში "საქონელი"/"კონექტი"). გამყიდველი მიაწვდის მყიდველს საქონლის სრულ რაოდენობას მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდიდან 2 (ორი) კალენდარულ დღეში. (ინტერნეტ მომსახურება: CPV კოდი: 72400000);

1.2. „კონექტის" „მყიდველისათვის" გადაცემიდან და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან „კონექტთან" დაკავშირებული უფლება-მოვალეობები სრულად და უპირობოდ გადადის "მყიდველზე" (გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოშობილია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე).

1.3. „გამყიდველი" ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდიდან სრულად საკუთრებაში გადასცეს „მყიდველს" „საქონელი" ამ „ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად შპს ჯეოსელის მომსახურების ოფისში, „საქონლის" გადაცემის შესახებ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

1.5. "შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შტატგარეშე მოსამსახურეს გენრიხ რომანცოვს (პირ#53001003847).

2. ფასი და ანგარიშსწორების პირობები

2.1 მყიდველის მიერ გამყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესასყიდად გადასახდელი ჯამური თანხა შეადგენს [675] (ექვსასსამოცდათხუთმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2 გადახდა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით საბანკო გადარიცხვის გზით გამყიდველის მიერ მყიდველისთვის ინვოისის/ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 2 (ორი) კალენდარულ დღეში.

მუხლი 3. მხარეთა გარანტიები

3.1 მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ მათ მიერ წინამდებარე სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება იქნება სრულყოფილი, ხარისხიანი და განხორციელებული წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში.

3.2 მხარეთა განცხადებები, გარანტიები და შეთანხმებები:

(ა) კომპეტენცია: მათ აქვთ სრული უფლება და კანონიერი უფლებამოსილება გააფორმონ და შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულება;

(ბ) კორპორაციული ქმედება: მათ განახორციელეს ყველა აუცილებელი იურიდიული და კორპორაციული ქმედება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისა და შესრულების მიზნით;

(გ) შესასრულებლად სავალდებულო მოვალეობები: წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ორივე მხარის კანონიერ, მოქმედ და შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულებას მისი პირობების მიხედვით.

3.3. „მყიდველი" აცხადებს, რომ გაეცნო „კონექტის" მოხმარებისა და ნომრის სატარიფო გეგმის პირობების დაწვრილებით აღწერას და იძლევა გარანტიას, რომ არ აქვს და არ ექნება პრეტენზია ზ/ აღნიშნულთან.

3.4. „მყიდველი" აცხადებს, რომ მის მიერ შემოწმებულია „კონექტი" და იძლევა გარანტიას, რომ არ ექნება რაიმე სახის პრეტენზია „კონექტის" მუშაობასთან.

3.5. „მყიდველი" უარს აცხადებს სატესტო მოდემზე და იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ არ იქნება გამოთქმული რაიმე სახის პრეტენზია „გამყიდველის" მიმართ აღნიშნულთან.

...ველი" უზრუნველყოფს „საქონელს" საგარანტიო პირობებით, საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) თვეს. საგარანტიო პირობები ...ად მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების #1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

...ი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე ადრე მოშლის პირობები

... წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მის პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან და მოქმედებს (2015 წლის 31 დეკემბრამდე) მხარეთა სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე.

4.2 ხელშეკრულების შეწყვეტა დაიშვება:

4.2.1. მხარეთა შეთანხმების შედეგად, რაც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

4.2.2 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 5. კონფიდენციალურობა

5.1 თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ინფორმაცია (როგორც კომერციული, ისე არაკომერციული), ასევე ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია, რაც გამომდინარეობს და ეხება წინამდებარე დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებასთან, რაიმე კონკრეტულ სამუშაოსთან და/ან ზოგადად, ორგანიზაციის საქმიანობის დეტალების შესახებ.

5.2 სახელშეკრულებო საქმიანობასთან და/ან ამ საქმიანობის შედეგად მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია და დეტალი, რაც გავრცელებული იქნება მხარეების მიერ ნებისმიერი სახით (ზეპირად თუ წერილობით, პირდაპირ თუ ირიბად, კონკრეტული პირის ან პირების მიმართ, თუ მასობრივი საშუალებებით, ფართო საზოგადოების მიმართ, მასმედიის ნებისმიერი წყაროთი (მათ შორის ელექტრონული მედია-ინტერნეტი)) შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ და დაზარალებული მხარე უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

5.3 კონფიდენციალურ ინფორმაციად ითვლება ნებისმიერი კომერციული ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან.

5.4 კონფიდენციალური ინფორმაციის დარღვევის შედეგად მიღებული ზიანის ანაზღაურების უფლების მოთხოვნა აქვს დაზარალებულ მხარეს.

5.5 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მაშინაც კი, თუ ისინი შეწყვიტავენ წინამდებარე ხელშეკრულებას. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს და საკალდებულოა იმის და მიუხედავად, თუ რა მიზეზით შეწყდა მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები. მხარეები თანხმდებიან, რომ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე და სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ 3 (სამი) წლის განმავლობაში.

5.6 სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება არ ჩაითვლებათ მხარეებს ხელშეკრულების დარღვევად და შესაბამისად არ დაეკისრებათ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაზარალებული მხარის მიმართ, თუ გამჟღავნებული ინფორმაციის გავრცელებას მხარეს ავალდებულებდა კანონმდებლობა. აღნიშნული ფაქტი უნდა იქნეს დოკუმენტალურად დადასტურებული, კერძოდ ის, რომ ინფორმაციის გამცემ მხარეს ნამდვილად დაეკალა კანონმდებლობით და ამ კანონმდებლობის განმხორციელებელი/აღმასრულებელი შესაბამისი ორგანოს მიერ/მოთხოვნით ინფორმაციის გამჟღავნება. დადასტურების ვალდებულება არ წარმოეშობა მხარეს, თუ არ არსებობს მეორე მხარის მიერ ზიანის ანაზღაურების წერილობითი მოთხოვნა.

მუხლი 6. დავების მოგვარება

ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები პირველ რიგში გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით, ხოლო მოლაპარაკებების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის განსახილველად მიმართოს საქართველოს სასამართლოს. მხარეთა შეთანხმებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი)

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები, ომი, საგანგებო მდგომარეობა და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან

...ვებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ...ულებების შესრულებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების ვადები გადაიწევს აღნიშნულ გარემოებათა ...ების ვადით.

...ამ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები მოქმედებს ორ (2) თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ...ლმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ის მხარე, რომელსაც დაუძლეველი ძალის გარემოებები ხელს უშლიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და/ან მათი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

7.3 შეტყობინება იგზავნება დაზღვეული წერილით, ხელშეკრულებაში მითითებული იურიდიულ მისამართზე

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია ამ ხელშეკრულებასთან ერთად.

8.2 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის მიერ წერილობითი დოკუმენტის გაფორმების გზით, რომელიც დადასტურებული იქნება მხარეთა ხელმოწერებითა და ორგანიზაციის ბეჭდით.

8.3 ყველა წერილობითი შეტყობინება მხარეებს ეგზავნებათ ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ მათ იურიდიულ მისამართებზე. იურიდიული მისამართის შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან ზეპირად და წერილობით შეატყობინონ ამის შესახებ ერთმანეთს ასეთი ცვლილებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ჩაითვლება მართლზომიერად გაგზავნილად.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა "მყიდველს", ხოლო მეორე "გამყიდველს".

8.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია და იმართება საქართველოს კანონმდებლობით.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"გამყიდველი"	შემსყიდველი:
შპს „ჯეოსელი" ს/კ: 203841940 იურიდიული მისამართი: გოთუას ქ #3, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, თბილისი, საქართველო 0160 მომსახურე ბანკი: სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია" ბანკის კოდი:UGEBGE22 ა/ა:GE64VT6600000441467944 ____________ მალხაზ [illegible] კორპორატიული დანაწილების გაყიდვების მენეჯერი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. #25 ს/ს "ლიბერთი ბანკი"-ს წყალტუბოს ფილიალი ბ/კოდი: LBRTGE22 ა/ა №GE25LB0120123490528000 ს/კოდი: 221274846 ____________ მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე [illegible]

დანართი #1

საგარანტიო მომსახურება

ირობის თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ ყურადღებით შეისწავლოთ ინსტრუქცია, და გარანტიის პირობები

ირანტიო ტალონი მალაშია მხოლოდ სწორად და გარკვევით შევსების შემთხვევაში. საგარანტიო ტალონი გათიშულად ჩაითვლება, თუ საგარანტიო ალონში მონაცემები შეცვლილია, წაშლილია, ან ფიფქით აღნიშნული აუცილებელი ველები არ არის შეცხებული.

ამ შემთხვევაში გირჩევთ მიმართოთ გამყიდველ ორგანიზაციას ახალი საგარანტიო ტალონის მისაღებად, რომელიც შეეფერება ზემოდ აღწერილ პირობებს, ან წარადგინოთ საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ საქონლის გაყიდვის ფაქტს და თარიღს (სასაქონლო ან საცალო ქვითრები).

პრობლემის შემთხვევაში აბონენტი ჯეოსელის ოფისში წარადგენს „კონექტს" საგარანტიო ტალონთან ერთად იმავე ოფისში სადაც შეიძინა.

კონექტი შესამოწმებლად და დასკვნის დასაწერად იგზავნება სპეციალისტთან/რეგიონის შემთხვევაში კონექტი იგზავნება ლოჯისტიკის განყოფილებაში, საიდანაც გადაეცემა სპეციალისტს შესამოწმებლად.

სპეციალისტი ადგენს კონექტს ქარხნული წუნი აქვს თუ დაზიანება გამოწვეულია აბონენტის მიერ.

დადასტურებული ქარხნული წუნის შემთხვევაში წუნიანი კონექტი წერილობით დასკვნასთან ერთად იგზავნება ჯეოსელის ლოჯისტიკის განყოფილებაში და იცვლება ახლით.

ახალი კონექტი ლოჯისტიკის განყოფილებიდან იგზავნება მომსახურების ოფისში აბონენტისთვის გადასაცემად.

თუ კონექტის გამოცვლა არ ხდება ოფისში ბრუნდება ძველი ჯეოსელ კონექტი სპეციალისტის დასკვნასთან ერთად აბონენტისთვის გადასაცემად.

მომსახურების ოფისის წარმომადგენელი უკავშირდება აბონენტს და ატყობინებს კონექტის საგარანტიო მომსახურების შედეგს (იცვლება ან არ იცვლება).

საგარანტიო შემოწმება და კონექტის შეცვლა/იგივე კონექტის დაბრუნება ხორციელდება ერთი კვირის ვადაში. (იშვიათი გამონაკლისის შემთხვევაში თუ სპეციალისტი არ არის ადგილზე, პროცესი შეიძლება კიდევ უფრო გახანგრძლივდეს).

საგარანტიო პირობები

- მოდემზე ქარხნული წუნით გამოწვეული დეფექტის შემთხვევაში შესრულდება საგარანტიო მომსახურება შეძენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- საგარანტიო მომსახურეობა არ ხორციელდება თუ:
  - არ არის წარმოდგენილი საგარანტიო ტალონი;
  - საგარანტიო ტალონი გადაკეთებულია;
  - არ იკითხება იმei კოდი;
  - მოწყობილობას აღენიშნება ვიზუალური ან მექანიკური დეფექტი;
  - დაზიანება გამოწვეულია წყლის, ქიმიური ნივთიერებების, ელ. ქსელის გაუმართაობით ან მექანიზმის დანესტიანებით, ექსპლუატაციის დარღვევით, არაკომპეტენტური პირების მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად.

"გამყიდველი"	შემსყიდველი:
შპს „ჯეოსელი" ს/კ: 203841940 იურიდიული მისამართი: გოთუას ქ #3, ნტკვრის მარჯვენა სანაპირო, თბილისი, საქართველო 0160 მომსახურე ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" საბანკო კოდი: UGEBGE22 ა/ა: GE64VT7600000014467944 ალბაზ ფორეშვილი კორპორაციული და საბრძოლო გაყიდვების მენეჯერი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. #25 ს/ს "ლიბერთი ბანკი"-ს წყალტუბოს ფილიალი ბ/კოდი: LBRTGE22 ა/ა №GE25LB0120123490525000 ს/კოდი: 221274546 მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე ბაბისკირაშვილი